

"თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი აცხადებს, რომ "ნაცმოძრაობას" არც კონკურენტად მიიჩნევს და არც წინააღმდეგობის ობიექტად, თუმცა მასთან კოალიციის შექმნას კატეგორიულად გამოირიცხავს.

ალასანია ამბობს, რომ სააკაშვილის გუნდი მისთვის ახლაც ისევე მიუღებელია, როგორც ეს იყო 3 წლის წინ, მაგრამ პოლიტიკური რევანშის სურვილი არც მის და არც "ქართული ოცნების" მიმართ არ ამოძრავებს. ის მიიჩნევს, რომ პოლიტიკური რევანში უნდა დასრულდეს, თუმცა ფიქრობს, რომ ეს სურვილი "ნაცმოძრაობასა" და "ოცნებას" ერთმანეთის მიმართ დღესაც ამოძრავებთ.

ალასანია დასავლურ განწყობაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ დიპლომატებში გაჩნდა კითხვები, ხომ არ არის ხელისუფლებაში ვინმე, ვისაც სურს, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი ევრაზიული კავშირისკენ გადაიქაროს.

**"რეზონანსი": პრემიერი ისევ არ მივიდა უშიშროების საბჭოს სხდომაზე, თუმცა გაკეთდა შეფასება, რომ მას წარმოდგენდა თავდაცვის მინისტრი. თქვენი აზრით, უნდა მისულიყო თუ არა პრემიერი სხდომაზე?**

**ირაკლი ალასანია:** "იმ ვითარებაში, როდესაც საქართველო გაერო-ში ორ დელეგაციას აგზავნის, ეს გასაკვირი აღარაა. არადა, შესათანხმებელია საგარეო-პოლიტიკური გზავნილები და საგარეო პოლიტიკის წარმომადგენელს - პრეზიდენტს - აქვს შესაძლებლობა, ეს საკითხი უშიშროების საბჭოს ფორმატში განიხილოს. ამ ვითარებაში აუცილებელი იყო, რომ უშიშროების საბჭოს ყველა წევრი დასწრებოდა ამ შეხვედრას. მით უმეტეს, რომ დიდი ხანია, ასეთი შეხვედრა არ გამართულა. ვისურვებდი, რომ პრეზიდენტი და პრემიერი უშიშროების საბჭოზე ერთად მენახა და მათ ერთად ემსჯელათ ჩვენი ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების საკითხებზე.

საზოგადოებაშიც ასე ფიქრობენ და მეც ასე მიმაჩნია, რომ თუკი სახელისუფლებო შტოები ერთმანეთში საერთო ენას ვერ გამოიხატავენ, გაგრძელდება კრიზისი და კიდევ უფრო გართულდება ის. ჩვენ გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც კოორდინირებულად იმუშავებს.

**"რ": კრიზისში, ეკონომიკურ კრიზისს გულისხმობთ?**

**ი.ა:** ეკონომიკურსაც და მათ შორის ინსტიტუციურ კრიზისსაც. მოგეხსენებათ, პრეზიდენტის ინსტიტუტს მთავრობის წევრები და ხელისუფლების არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილიც ხშირად აკრიტიკებენ. ინსტიტუციური კრიზისია ის, რაც ხდება ეროვნული ბანკის გარშემო. ამის შესახებ ჩვენ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელიც შევიტანეთ. ძალიან მიხარია, რომ პრეზიდენტი არ ყვება მთავრობას ამ დაპირისპირებაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები პოლიტიკურ დაპირისპირებას ვერ ხედავენ.

გარდა ამისა, ეს ვითარება ხელს უშლის ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლას. პირადად მე არაერთმა ინვესტორმა მითხრა, ინვესტიციებს არ დებენ იმიტომ, რომ მთავრობის ნაბიჯები არასტაბილურობის განცდას ქმნის. თუნდაც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურის მიერ გაკეთებული არაპროფესიული და შეურაცხყოფელი განცხადებები პრეზიდენტის მიმართ. ამას ემატება ლარის გაუფასურება დღითი-დღე. ეს ყველაფერი ერთმანეთზე ჯაჭვით არის გადაბმული. საქმე გვაქვს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების უნდობლობასთან ერთმანეთის მიმართ, რაც საბოლოოდ არასტაბილურ გარემოს ქმნის.

გასულ დღეებში რეგიონებში ვიყავი, ამომრჩეველს შევხვდი. ხალხს ყველგან ერთი და იგივე შეკითხვა აქვს, როდის დავანებებთ პოლიტიკოსები ერთმანეთის ჭამას თავს და ხალხის პრობლემები გაგვახსენდება. მინდა პოლიტიკოსებს შევთავაზო, რომ ყველამ ერთად დავიწყოთ ხალხის პრობლემებზე ფიქრი და შევეშვათ ერთმანეთის ჭამას.

**"რ": ხალხის პრობლემების მოგვარება ოპოზიციას როგორ შეუძლია?**

**ი.ა:** ჩვენ ეს მაგალითის მიცემით შეგვიძლია. უნდა დავამთავროთ რევანშიზმი პოლიტიკაში. მე როდესაც ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვალ, პოლიტიკას რევანშიზმით არ დავანაგვიანებ. ისეთი განცდა მაქვს, რომ დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილის გუნდის მიმართ დღესაც პოლიტიკურ რევანშია. თითქოს დღესაც ვერ იჯერებენ, რომ ხელისუფლებაში არიან და ისევ ებრძვიან "ნაცმოძრაობას". მეორე მხრივ, გვყავს სააკაშვილის გუნდი,

რომელსაც ჩემი გადმოსახედიდან ასევე პოლიტიკური რევანშიზმი ამოძრავებს. ჩემთვის ორივე გზა მიუღებელია. მინდა, რომ ყველამ ერთად მომავლისკენ გავიხედოთ, რასაც სამწუხაროდ ვერც ერთ პოლიტიკურ ძალაში ვერ ვხედავ.

**"რ": "ნაცმოძრაობის" მხრიდან რევანშის სურვილი რაში დაინახეთ?**

**ი.ა:** ამას მე ვხედავ ამ პარტიის წევრების განცხადებებსა თუ ქმედებებში. არის ნაბიჯები, სადაც პირდაპირი მოწოდებაა, "ქართული ოცნების" წარმომადგენლების მიმართ რევანში მათაც განახორციელონ. ეს განპირობებულია იმითაც, რომ დღეს თავად არიან პოლიტიკური დარტყმის ქვეშ, ანუ ძალადობა ზადებს ძალადობას. ამის მსხვერპლი ვართ უკვე 25 წელია. მე და ჩემს გუნდს გვინდა, რომ ჩაკეტილი წრე გავარღვიოთ. ასეთ დასაყრდენს მე ვემებ, პირველ რიგში, საქარველოს მოქალაქეებში და არა პოლიტიკურ ძალებში. ამიტომაც დავდივართ რეგიონებში და ვქმნით ასეთ პროგრესულ გარემოს.

**"რ": რეგიონებში პარტიის ახალ სახეებს ეძებთ?**

**ი.ა:** ჩვენ გვაქვს პარტია, რომელიც მუდმივად განახლებას ცდილობს. ჩვენ უკვე შემოგვიერთდა გამოცდილი ეკონომიკური ექსპერტი ვასილ რევიშვილი. ასევე შემოგვიერთდნენ ახალი სახეები რეგიონულ ოფისებში. ჩვენ უახლოეს პერიოდში წარვუდგენთ საზოგადოებას ისეთ ახალ სახეებს, რომლებიც სხვადასხვა პროფესიაში წარმატებულნი არიან და სუფთა ხელებით ედგნენ ქვეყანას გვერდით. "თავისუფალი დემოკრატები" არა მხოლოდ ოფისებით, არამედ შემადგენლობითაც ვიზრდებით.

**"რ": კი აკრიტიკებთ "ნაცმოძრაობას", მაგრამ "დემოკრატებს" "ნაცმოძრაობასთან" ფარულ ალიანსში გადანაშაულებენ. ბოლო პერიოდში პარტიული თანამშრომლობაც გამოიკვეთა. რას აპირებთ სამომავლოდ? შექმნით თუ არა კოალიციას მასთან?**

**ი.ა:** ჩვენ ისევ არ მოგვწონს ის, რაც არ მოგვწონდა სამი წლის წინ. "ნაცმოძრაობას" ჩვენს კონკურენტად არ ვთვლით და არც ჩვენი წინააღმდეგობის ობიექტად არ გვყავს გამოცხადებული. ჩვენ ხელისუფლების ოპოზიცია ვართ, მაგრამ დღეს ისევე არ მოგვწონს სააკაშვილის დროინდელი ძალადობრივი რეჟიმი, როგორც ეს იყო 2012 წლამდე. ჩვენ არ მოგვწონდა მისი მართვის სტილი - ძალადობრივი და უსამართლო. ამიტომ წავედით ოპოზიციაში. იგივე შევატყვევთ ივანიშვილს, რომელიც აბსოლუტურად იმავე მეთოდებით მართავს ქვეყანას. იმედი გვქონდა, რომ 2012 წლის მერე სპეცრაზმი პოლიტიკური მიზნებისთვის არ იქნებოდა გამოყენებული. დღეს ვხედავთ, რომ ისევ ხდება მოქალაქეების პირადი ცხოვრების ქექვა თუ მათი მოსმენა.

რაც შეეხება იმას, რომ მე პოლიტიკურ ოპონენტებს არ აღვიქვამ მტრად, ეს ასეა. მე არც "ნაცმოძრაობას" მივიჩნევ მტრად და არც "ოცნებას". "ოცნებაში" დღესაც არიან ადამიანები, ვისთანაც ახლაც ვაგრძელებ მეგობრობას.

კიდევ ერთხელ მინდა თქვენს მკითხველს ხაზგასმით ვუთხრა, რომ 2016 წლის არჩევნებზე "დემოკრატები" გავდივართ მარტო. ერთადერთ კოალიციას ვაკეთებთ, კოალიციას ჩვენს მოქალაქეებთან.

**"რ": "ნაცმოძრაობასთან" თანამშრომლობას მხოლოდ საპარლამენტო დონეზე აპირებთ თუ სხვა ტიპის თანამშრომლობასაც გეგმავთ? "ნაცმოძრაობამ" აქციები დააანონსა, შეუერთდებით მის აქციებს?**

**ი.ა:** ჩვენ გვაქვს ჩვენი დღის წესრიგი და არავის დღის წესრიგში არ ვერთვებით. თანამშრომლობას რაც შეეხება, იცით, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა, როგორც საპარლამენტომ ისე არასაპარლამენტომ, დავიწყეთ აქტიური თანამშრომლობა საარჩევნო კოდექსის შესაცვლელად. დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება, რათა საკანონმდებლო ინიციატივა წარვუდგინოთ პარლამენტს. ეს არის კარგი მაგალითი, როდესაც განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის პარტიები ერთმანეთთან თანამშრომლობენ. გული მწყდება, რომ ჩვენმა პარტიორებმა "ოცნებიდან" პოზიცია შეიცვალეს მაშინ, როცა ცოტა ხნის წინ ამ პოზიციას გულმხურვალედ იცავდნენ.

ჩვენ გვაქვს ჩვენი დღის წესრიგი, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლება გამოვგლიჯოთ "ოცნებას", მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დავუთმოთ სააკაშვილის რეჟიმს.

**"რ": თქვენს დღის წესრიგში საპროტესტო აქციებს ხაზი აქვს გადასმული?**

**ი.ა:** ყოველთვის შექმნილი ვითარების ადეკვატური უნდა იყო. დღეს ვერ ვხედავ იმ სიტუაციას, როდესაც რაღაც პრობლემა საპროტესტო აქციების გზით უნდა გადაწყდეს. შესაძლოა გავმართოთ რაიმე ერთდღიანი აქცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაიმე პრობლემის გადაწყვეტა დღეს ქუჩის აქციებითაა შესაძლებელი. ჩემი მიზანია საარჩევნო კოდექსის შეცვლა და სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

**"რ": გუშინ დასავლელ დიპლომატებს შეხვდით. რა კითხვები აქვთ მათ?**

**ი.ა:** ძალიან სამწუხაროა, რომ კითხვები გაჩნდა საქართველოს ევროპულ მომავალთან დაკავშირებით. ჩნდება კითხვები, ხომ არ არის ხელისუფლებაში ადამიანი, ვისაც უნდა ქვეყნის გადაქაჩვა ევრაზიული კავშირისკენ. კითხვებია იმაზეც, რატომ არ ხდება რეაგირება ისეთ საკითხებზე, როდესაც ხდება პრორუსული განწყობების დამკვიდრება საზოგადოებაში ზიზღის ენისა და ძალადობის გზით. კითხვებია მედიის თავისუფლებაზე, სამართლის უზენაესობაზე - იმავე კაბელების საქმეზე და ა.შ.

მთავარია ყველას დავანახვოთ, რომ საზოგადოება ერთად დგას ევროპული ღირებულებების სადარაჯოზე და ჩვენი არჩევანი დასავლეთია. ამას დღეს ჩვენი ჯარი ამტკიცებს ავღანეთში თუ სხვა საერთაშორისო მისიებში. სწორედ ამას შეეწირა ახლახან ჩვენი კიდევ ერთი გმირი, ყულჯანიშვილი ავღანეთში.

**"რ": თავდაცვის მინისტრმა ბი-ბი-სისთან ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის პროგრესული გადაწყვეტილება არ მიიღეს, მაშინ არსებობს იმის საფრთხე, რომ 2016 წელს პარლამენტში მნიშვნელოვანი ადგილი პრორუსულმა ძალებმა დაიკავონ. ეთანხმებით თინა ხიდაშელის განცხადებას?**

**ი.ა:** დარწმუნებული ვარ რომ ამ მართულებით თვისობრივი ცვლილება ერის განწყობაში არ იქნება. ხშირად ისმის იმედგაცრუება საზოგადოებაში, რომ სად არიან ევროპელები აქამდე და ა.შ. მაგრამ საზოგადოების პროგრესული ნაწილი არ დაუშვებს, რომ გადავუხვიოთ იმ გზას, რასაც ამდენი წლების განმავლობაში შეეწირნენ ჩვენი მოქალაქეები აფხაზეთსა თუ ცხინვალში, ავღანეთსა თუ ერაყში. ვგრძნობ ჩვენი ახალგაზრდების გულისცემას და ვგრძნობ, რომ მათ უნდათ იცხოვრონ ისე, როგორც ევროპელი ახალგაზრდები ცხოვრობენ. მათ სწყურიათ თავისუფლება.

ევროპასთან დაახლოების შანსი ამ ხელისუფლებამ თავისი უნიათობით გაუშვა, რომ არ მოხერხდა ვიზის ლიბერალიზაცია. პროცესი გაიჭიმა, მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება. მაქვს ურთიერთობა ევროპარლამენტის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლებთან და მათი განწყობა ვიცი. ვერ ვხედავ ევროინტეგრაციის მინისტრის აქტიურობას, რომ ჩვენს მოქალაქეებს დაანახვოს, რა სიკეთის მოტანა შეუძლია ევროკავშირთან ასოცირებას. იმედი მაქვს რესპუბლიკური პარტიის, რომ ამ საკითხზე აღარ შეიცვლის თავის დამოკიდებულებას და გააგრძელებს ამ რელსებზე ყოფნას. თუმცა ვიტყვი იმასაც, რომ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით "რესპუბლიკელებისგან" მეტი მოლოდინი მქონდა.